

საქართველოს კანონი

“საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის
შესახებ

მუხლი 1. “საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1998 წ., №23-24) 28-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“7. წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის სფეროში კონტროლს ახორციელებენ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.”

მუხლის 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.